კვირა, 7 ივნისი 1915 წ. ფასი 10 კაპ.

როგორ იბრძოდა საქართველო ძველათ

სამშობლოს აღორძინება.

„...ქართველ ხალხის ბუნებრივ საახალშენო ტერიტორიად ის პროვინციები უნდა ჩაითვალოს, რომელიც აყვავების ხანაში და შემდეგშიაც ჩვენ სამშობლოს ეკუთვნოდა...".

„...ჩვენი მისწრაფების ლურსმანი საქართველოს საზღვრების აღდგენაა...".

„...ფსიხოლოგიურად შემოვიმიჯნოთ თავი ჩვენი და ნივთიური ზღუდე გარშემოუდგათ ჩვენსა ქვეყანას...".

გაზ. „საქართველო", № 1.

მოხსენების არსებით მხარეს ყველა ემხრობოდა, რადგან პრინციპი მოხსენებისა უდაური და ყველასათვის მისაღები იყო:

— უნდა აღდგენილ-იქმნას საქართველოს ისტორიული საზღვრები, აკვანი და საფლავი ქართველი ერისა, და გარეშემოიზღუდოს ზღუდითა ნივთიურითა და მიჯნითა ფსიხოლოგიურითა ჩვენი ქვეყანა.

ეს ყოვლად სამართლიანი პრინციპი, რა თქმა უნდა, ერთხმათ მიიღო ყველამ; დავა მხოლოდ იმან გამოიწვია, რომ მომხსენებელი ძალიან ვიწროთ ფარგლავდა საქართველოს ისტორიულ საზღვრებს, თითქოს ეშინოდა, ერიდებოდა, ან ეხათრებოდა ვისიმე:

— „ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ქართველთა სხვა და სხვა ტომები, სახელდობ: 1) მოსკები ანუ მესხები, 2) ტაბალები ანუ თუბალები, 3) კასკები ანუ კოლხები, 4) მოსინიკები ანუ ჭანები, 5) მაკრონები ანუ მეგრელები, 6) ქალდეველები ანუ ქართველები, 7) აფხაზები, 8) სვანები, 9) ალბანელები და სხვანი. გამოვიკვლიოთ მათი ბინადრობის ადგილები, აღვიდგინოთ, ე. ი. დავიპყრათ ეს ადგილები და შემდეგ გარეშემოვიმზღვარნეთ მზღვარითა ნივთიურითა და მოაჯირითა ფსიხოლოგიურითა!...

ასე გაათავა ს. კ—იამ თავის შინაარსიანი მოხსენება.

სიტყვა რ. გაბაშვილმა აიღო და სთქვა:

— მომხსენებელის წინადადებას სავსებით ვღებულობ ისე, როგორც ძალზე მშიერი კაცი, რომელსაც მთელი პური ვერ გააძღებს, პურის ყუითაც იოლათ წავა. ვის ეკრძალება მომხსენებელი? თუ მხოლოდ იმას დავკმაყოფილდით, რასაც მომხსენებელი კმაყოფილდება, საქართველოს საზღვრებში მოექცევა: მხოლოდ ამიერ-კავკასიის ყველა გუბერნიები და ოსმალეთის რამდენიმე ვილაიეტი (შუა მდინარესაც აქ ვანგარიშობ)!.. რად ავიწყდება სპარსეთის ტერიტორია, სადაც 100 ათასზე მეტი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს? სად არის პირინეის ნახევარკუნძული, სადაც ბასკები ანუ იბერნი, მოსკები, ე. ი. მესხები და იბერიელები ცხოვრობენ? გულუხვობამ კინაღამ დაგვიღუპა საქართველო, ეს კარგად უნდა ახსოვდეს პატივცემულ ს. კ—იას და ცოტა ხელმომჭირნეთ მოიქცეს, მით უმეტეს, რომ ჩვენ სხვისას როდი ვითხოვთ რასმე, არამედ ჩვენი გვინდა მხოლოდ შევინარჩუნოთ!...

შემდეგ მ. ად—ლი წამოდგა. ამ ორატორის აზრით აუცილებლივ საჭირო იყო ბალკანეთის შემოერთება; ეს ტერიტორია დღესაც ჩვენ მამაპაპათა ძვლებით პოხიერდება და სისხლით ირწყვის, რადგან ალბანელები, რომელთაც ამ კუნძულის ნაწილი უჭირავთ ქართველების წინაპრები არიან. გარდა ბალკანეთისა სამართლით ჩვენ გვეკუთვნის კუნძული „სიცილიაც". ნუ თუ სახელი ამ კუნძულისა საკმაოთ არ ამტკიცებს, რომ იგი ქართულია და და ქართველებს უნდა დაუბრუნდესო!

საქმე რომ კენჭის ყრაზე მიდგა, ოპონენტების აზრს თვით მომხსენებელიც მიემხრო და გადაწყდა, საქართველოს ტერიტორიათ, გარდა მომხსენებელის მიერ ნაჩვენებ ადგილებისა, ჩაითვალოს: ბალკანეთი, პირინეი, სიცილია და ფერეიდანი.

—

ზემოხსენებულ ისტორიულ საზღვრების აღდგენა მეტად ადვილი საქმე გამოდგა.

პირველათ ოსმალეთს მიმართეს და წარუგზავნეს ერთი მეგობარ კავკასიელ მაჰმადიანთაგანი, რომელიც წარსდგა ხონთქრის წინაშე და სთქვა:

— მაჰმადიანთა გულწრფელი მეგობრები, საქართველოს უუკეთილშობილესნი და უშიშარნი შვილნი, სამართლიანათ მოითხოვენ თავიანთ მიწა-წყალს...

— კმარა! არ გაათავებინა ხონთქარმა და იქვე ჩამოუჭრა მთელი ჩრდილო მცირე აზია და მესოპოტამია...

შემდეგ ალბანელებს შეატყობინეს თავიანთი განზრახვა.

ალბანელები სიხარულით ცას ეწიენ და შემოთვალეს: გინდათ—ჩვენ გადმოვსახლდებით მანდა, თუ არა და—ერთი მმართველი ანუ მთავარი გამოგვიგზავნეთო.

ქართველებმა ისევ მთავრის გაგზავნა არჩიეს.

ალბანეთის მთავრათ სრულიად სამართლიანათ, გვარიშვილობისა და წარჩინების მიხედვით, სამსონ დადიანი დაადგინეს, ჩასვეს სამეფო იახტა „ფასკუნჯი" და ბალკანეთისაკენ გაამგზავრეს დიდი ზეიმით.

— გაუმარჯოს ალბანეთის მთავარს, სამსონ

პირველს!—დაიქექა ნაპირზე შეგროვილმა ხალხმა, როცა გემი ის იყო ხმელეთს წყდებოდა.

— გმადლობთ, ქართველნო! როგორც ქართველი მამულიშვილი, მე ვამაყობ და მიხარიან, ალბანელების, ე. ი ჩვენი წინაპრების, მმართველობა რომ მარგუნა ბედმა და ჩემს სამშობლოს რომ ვტოვებ, მხოლოდ პუბლიცისტური მოღვაწეობა მენანება!..

— გაუმარჯოს!.. კვლავ იგრიალა ხალხმა. „ფასკუნჯი“ შეურხევლათ მოწყდა ნაპირს და ზღვის სარკეზე გასრიალდა...

ფერეიდანის, პირინეის და სიცილიის შემოერთება კიდევ უფრო იოლი გახდა...

საქართველოს ყველა ისტორიული საზღვრები რომ აღადგინეს, შემოქმედებითი მუშაობას მიჰყვეს ხელი.

უპირველესი და ყველაზე საყურადღებო საგნები იყო: 1) „ფსიხოლოგიურად შემომიჯვნა თავისა თვისისა და 2) ნივთიურ ზღუდის გარეშემოდგმა თავიანთ ქვეყნისათვის“.

ამ ორ საგანში უფრო საჩქარო და საადვილო მეორე იყო.

ამიტომ თავდაპირველათ საქართველოს მეტროპოლიის ნივთიური ზღუდე გარეშემოუდგეს ე. ი, მთელ ახალ-აღდგენილ ტერიტორიას გურგანის ზღვიდან ვიდრე პონტამდე და კავკასიონიდან ვიდრე ეფრატამდე ირგვლივ ურყევი და თვალუწვდენი გალავანი შემოარტყეს და გარღუვალი თხრილი შემოავლეს.

შემდგომათ ნივთიურ ზღუდის გარეშემოდგმისა საჭირო იყო ფსიხოლოგიურათ შემომიჯვნა ქვეყნისა. ხოლო, ვინაიდან ფსიხოლოგიური მიჯნა რთული ცნებაა და შეიცავს რელიგიურს, ზნეობრივს, გონებრივსა და სხვა მიჯნათა ცნებებს, ამიტომ ამ საქმის შესრულებას ნაწილ-ნაწილ შეუდგენ.

ჯერ რელიგიურ შემომიჯნვას მიჰყვეს ხელი.

მართალია, თანახმად პ. მირიანაშვილის გამოკვლევისა, ღვთისმშობელი ქართველი ქალი იყო —მეგრელ თავადის მხეიძის ასული—და, მაშასადამე ქრისტეც, ვითარცა უცოდველათ შთასახული, წმინდა სისხლის ქართველი იყო, ასე რომ საქრისტიანო რელიგია ქართულ ეროვნულ რელიგიათ ჩაითვლებოდა, მაგრამ სხვა ხალხნიცა და ერებიც ხომ აღიარებდენ ქრისტეს სარწმუნოებას! მაშ სადღა იყო მიჯნა ქართველთა და უცხლელთა რელიგიათა შორის! საჭირო იყო ისეთი რელიგია, რომელიც--გარდა იმისა რომ ეროვნული იქნებოდა—სავსებით საკუთარიც ყოფილიყო, ე. ი. არც ერთს სხვა ერს, გარდა ქართველებისა, ეს რელიგია არა ჰქონოდა.

სწორეთ ასეთი გამოდგა ქართველთა წინაპრების სარწმუნოება, რომელსაც სტრაბონი ასწერს თავის გეოგრაფიაში, სახელდობ მთვარის თაყვანისცემა.

ეს წმინდა ეროვნული და სავსებით საკუთარი რელიგია გამოაცხადეს სახელმწიფო სარწმუნოებათ და მთელს ქართველ ერს მიაღებინეს.

ამისდაგვარათ საქართველო კვლავ დაუბრუნდა თავის ძველ ღმერთს, მთვარეს, რომელმაც მიიღო ქართველი ხალხი, როგორც მშობელი მიიღებს შემცოდესა და მონანიებულ შვილს.

რელიგიურათ შემომიჯნვის შემდეგ ჯერი მორალურ თავისებურობის აღდგენაზე მიდგა. აქ ძალიან უშველა ქვეყნის გამგეებს ქსენოფონტემ და ჰეროდოტმა, რომელთა თხზულებებში გაკვრით მოთხრობილია ქართველთა უძველეს ტომების ყოფაცხოვრება. მსგავსათ თავიანთ წინაპრებისა საქართველოს მესვეურებმა სქესობრივი სირცხვილი ცრუ ზნეობათ გამოაცხადეს, სავალდებულოთ აღიარეს წინადაცვეთა და უმიზეზოთ ხტუნაობა და ცეკვათამაში.

აკრძალულ იქმნა ყველა აწარსებული ტანისამოსი, როგორც არა ეროვნული (ჩერქეზული—ჩერქეზებისა; ქულაჯა და კაბა—პოლონელთა ტანისამოსთან მსგავსების გამო, გურული—მავრიტანულსა ჰგავს) და შემოიღეს იმავ ქსენოფონტესა და ჰეროდოტის მიერ აღწერილი ჩაცმა-დახურვა და სამკაულები.

გამოქვეყნდა ბრძანება, რომლის თანახმად მამაკაცებს ზურგისა და მკერდის კანზე ფერადი წამლებით სხვა და სხვა სახეები უნდა გამოეხატათ, წელნი ნადირის ტყავით შეერტყათ, თავს ხის ჩაფხუტები დაეხურათ და იარაღათაც ძველი ეროვნული იარაღი—15 წყრთიანი შუბები, დაწნული ფარები და რკინის ცულები—აესხათ.

მაგალითი თვით მესვეურებმა მისცეს ხალხს და პირველათ ესენი გამოეწყვნენ ახალ ეროვნულ ტანისამოსში. მშვენიერი სანახავები იყვენ ტანდასურათებული, ჩაფხუტ დახურული და ოთხ-ოთხ საჟენიან შუბებით შეიარაღებული ს. კ—ია, რ. გაგაშვილი, დ. კასრაძე და მ. ად—შვილი. რაღაც პირველ ყოფილ მამაცობასა და აღტყინებას გამოჰხატავდა მათი სახის მეტყველება და სხეულის ახოვანება...

დასასრულ საჭირო იყო დედაენის განწმენდა და გასუფთავება.

არა თუ მეოცე საუკუნის ქართული, რუსიციზმებითა და პროვინციალიზმით წარყვნილი, თვით რთსთაველისა და კიდევ უფრო ძველ კლასიკოსთა ენაც არ იყო წმინდათ შენახული.

სპარსულის, ბერძნულის, ლათინურის და სხვა სიტყვების სიმრავლე ქართულ ლექსიკონში, სომხურის უცილობელი გავლენა და თვით ის მეცნიერულათ დასაბუთებული ფაქტი, რომ ქართული ენა სომხურიდან წარმოსდგებოდა, საკმაო საბაბს იძლეოდა, რათა ჩვენ დროში ქართულათ აღიარებული მეტყველება ანტიეროვნულათ გამოეცხადებინათ და ბეჯითსა და დაუღალავ შრომას შესდგომოდენ, მოსაინიკების, ტუბალებისა და სხვა ძველის-ძველ ტომთა დიალექტების აღსადგენათ და შემოსაღებათ,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲘᲡᲬᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ.

ძველი ლურსმული წარწერების წაკითხვამ და მეცნიერულმა შესწავლამ ბრწყინვალე ნაყოფი გამოიღო და სავსებით განახლებულ იქმნა ენა, რომელსაც ჩვენი წინაპრები ქრისტეს წინ XX საუკუნეში ლაპარაკობდენ.

აი, ეს ენა გამოცხადდა სახელმწიფო ენათ, ყველასათვის სავალდებულოთ, ნაცვლათ ცრუ-ქართულისა, რომლის ლაპარაკი კანონის ძალით სასტიკათ აიკრძალა.

ამით დასრულდა საქართველოს ფსიხოლოგიურათ შემომიჯნვა.

ასეთი ბრწყინვალე დაგვირგვინება ეროვნულ აღორძინების საქმისა დიდებულ საერო დღესასწაულებით აღინიშნა: საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებში და სოფლებში ახალ მთავრიან ღამეებში საუცხოვო კოკონები ენთოო. ამ კოკონებს გარს ეხვივნენ გატიტვლებული მოფერხულეები და მთელ ღამეობით ცეკვა-თამაშით და ჟივილ-ხივილით უტრიალებდენ მოგუზგუზე ცეცხლს მოწყალე ღმერთის, მთავრის, სალიდებლათ.

ერთად ერთი ქართული გაზეთი, „ერთობილი ქართლის“ ნებისა და სურვილების გამომხატველი, „საქართველო“, რომელიც, რა თქმა უნდა, აღორძინებული ქართულათ სწერდა ლურსმული ნიშნებით, სხვათა შორის აღნიშნავდა შემდეგს:

„... პრწლმინტყვეფ ქშინჭ ბრღლუზეუ რევაზყლაპ ცლონჯღიდმ, სპრდონპღინნ ვრქმოტ ფხ... დკვსრერძ მხადშვილჩ შიქლამ ლახუბრწმენჭ. ლაკრეზმ ჭყლუს, ფეჭე, ფეჭე!“.

თაგუნა.

P. S. თუმცა ამ ჟამათ აღორძინებული ქართული ყ.ელა ესმის, მაგრამ მაინც ვთარგმნი ამოწერილ სტრიქონებს: „დღესასწაულის სახსოვრათ (ზემოთ აღნიშნულ დღესასწაულზეა ლაპარაკი) რევაზმა ლოყებზე წითელი კნუტები დაიხატა, ს. კ—იამ ბრინჯაოს რგოლი გაიყარა მარცხენა ნესტოში, დავ. კასრაძემ და ად—ლმა საყურეები დაიკიდეს. ჩვენო სამშობლოვ, წინ, წინ!“.

თ—ნა.



პოეტი და კრიტიკოსი.

პოეტი და კრიტიკოსი დაძმობილდენ. გაუდგენ გზასა. კრიტიკოსმა უთხრა: მე ლექსს შევთხზავ, შენ კრიტიკა გამიკეთეო. ძალიან კარგიო. კრიტიკოსმა შეთხზა:

„უტეხ ღამით, ულრან ტყეში
ტიტანურად მივამიჯდ,
ვის არგია ჩემი ღვაწლი,
არ დაგიდევ, არ დავეძებ.
მზის ქსოვილში გავეხვევი,
თავს დავიდგამ კარვათ მთვარეს,
ცისარტყელას ხელში ვიპყრობ,
გავაგიჟებ არე-მარეს.
მოირთვება ზეცა რისხვით,
ბელზებელი გამიწყრება,
მაგრამ ჩემი მტკიცე გული
არ შედრკება, არ შედრკება“.

პოეტმა გააკრიტიკა:

„მას აქვთ, რაც ადამიანმა ლაპარაკი ისწავლა—(ეს დრო კი ისტორიას არ ახსოვს), პოეზიას მხოლოთ ერთი დანიშნულება ჰქონდა: ესთეტიური დატკბობა. ამტომ ვინც პოეზიაში რაიმე აზრს ეძებს, აშკარათ ამტკიცებს საკუთარ უაზრობას. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, თითქო პოეზიაში აზრის ნატამალი არ უნდ ამოიძებნებოდეს. პირიქით, რაც უფრო პოეტურია ესა თუ ის პოეზია, მით უფრო გრძნობიერი და ღრმა-აზროვანია იგი. ჩვენ მხოლოთ იმის თქმა გვინდა, რომ პოეტის ინტუიცია სხვა არის და მათემატიკური უსულო ფორმულები კიდევ სხვა. ზემორე თქმულის შემდეგ აშკარაა, თუ რა პრინციპით ვხელმძღვანელობთ ჩვენ კრიტიკის დროს. დაუბრუნდეთ ჩვენს ავტორს. პირველივე სტრიქონი გაგრძნობინებთ, რომ თქვენ პირველ ხარისხოვან პოეტთან გაქვთ საქმე. უტეხ ღამით ის ტიტანურათ მიამიჯდებს ულრან ტყეში. მაგრამ ვალაპარაკოთ თითონ ავტორი: „ვის არგია ჩემი ღვაწლი, არ დაგიდევ, არ დავეძებ“. ამ ტაეპში ავტორმა საუცხოოთ დაგვისურათა თავისი ღრმა ბუნება, რომელსაც თითონ შეუქმნია თავისი მიზანი და მისწრაფვა მისკენ. ის არავის ემორჩილება და ვერც გადაახვევინებს ვინმე მას არჩეული გზიდან. ეს ტიტანიური მისწრაფება წითელი ზოლივით არის გატარებული მთელ ლექსში: რაც უნდა მოხდეს, პოეტის „გული არ შედრკება, არ შედრკება“. ჯადოსნური მომხიბვლელობით აქვს

დახატული, თუ როგორ ეკავშირება ავტორი ბუნებას: „მზის ქსოვილში გავეხვევი, თავს დავიდგამ კარვად მთვარეს, ცისარტყელას ხელში ვიპყრობ...“ ჩვენს ღარიბ მწერლობაში ეს ეხრეული მაგალითია, რომ ბუნება ასე მძლავრად ემორჩილებოდეს ადამიანს. უეჭველია, ავტორი ახალ შკოლას ქმნის, ახალ მიმართულებას აყალიბებს. ვის უგალობს პოეტი? რას ეშსახურება მისი ქნარი? ის არ არის არც მზის პოეტი, არც მთვარის, თუმცა ორივეს ახსენებს თავის ლექსში. მისი ჰანგი ერთნაირად სწვდება ტყეს და ღამეს, მზეს და მთვარეს, ცისარტყელას და ბელზებელს. ჩვენი ავტორი ტიტანიური პოეტია. ამ სიტყვის უკეთილშობილესი მნიშვნელობით. მაგამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნო ერთი ნაკლი, რომელიც ახლავს ავტორს. ეს არის რითმის სიღარიბე. ›ვიღოთ მაგალითად პირველი ტაეპი. აქ მიწყობილია სიტყვები: „მივაბიჯებ“ და „არ დავეძებ“. ზმნის პირველ პირს თითქმის ყველგან ასეთი დაბოლოვება აქვს ქართულ ენაში: „ვავაფუჭებ“, „ვგავოხრებ“, ასე რომ ამ წესით დაუსრულებელი რითმების დაწყობა შეიძლება. ავტორს სხვა ფორმა რომ აერჩია, უკეთესს იზამდა. იმედია, ტეხნიკის მხრით ის თავის ლექსებს მომავალში უკეთ ჩამოასხამს და მით დიდ სამსახურს გაუწევს მშობლიურ ლიტერატურას“.

პოეტმა გაათავა.

— უკეთეს კრიტიკას მეც ვერ დავწერდი, სთქვა კრიტიკოსმა.

— უკეთეს ლექსს ვერც მე დავწერდი, მიუგო პოეტმა.

— არა, ღმერთმანი, ვარგა ჩემი ლექსი?

— მშვენიერია.

— მაშ მოდი მე პოეტობას დავიწყებ.

— მე კრიტიკოსობას.

— კრიტიკოსობა ადვილია: აიღე რომელიმე ავტორი და ან აქე, ან ამაგე; თუ გინდა კიდეც აქე კიდეც ამაგე, პოეტობა კი...

— პოეტობა სულ ადვილი საქმეა.

— როგორ? შენ რომ ოლიმპზე ფრენ, მუზებთან საუბრობ, განა ეს ადვილია?

— ადვილია, მაშ რა არის? ჩემი აზრით, პროზით წერა მელექსეობაზე ძნელი უნდა იყოს. ჩვენი ენა რითმების მადანია. აიღე მაგალითად ძირი „რიალი“ და მიუმატე თავში რაც ქართულში ანბანია, — გამოვა სულ სხვა და სხვა მნიშვნელობის სიტყვა: ბრიალი, გრიალი, ზრიალი, კრიალი, ბრიალი, ჭრიალი, სრიალი, ტრიალი, ფრიალი, ქრიალი, ღრიალი. ყრიალი, შრიალი, ფრიალი, ხრიალი ჭრიალი და სხვა. ჰა, როგორია?

— ბიჭოს, ეგ კარგი მასწავლებელ-ბელეტრობა კი მქონდა, მარა ეგ მელექსეობაც კარგია.

— მალე მოგბეზრდება. ახლანდელ უკუღმართ დროში ლექსებს მხოლოთ კრიტიკოსები კითხულობენ, კრიტიკას კი ხმოლოდ პოეტები. აბა რა დახლი დადგება ასეთ ქესატ ხალხში!

— მარ თალია. მაგას უნდა უშამლოთ რამე. ხალხი ახლა წიგნებზე დროს არა კარგავს. არ უნდა შავი ასოების კორკიტით დაიღალოს თვალები, ის რჩეობს ცოცხალი ასოები განსვრიტოს და ესთეტიკა დაიკმაყოფილოს. იცი რა? მოდი ცოცხლათ მოვეველინოთ ჩვენ მკითხველებს. პოეტი და კრიტიკოსი ერთათ სცენაზე, ჰა? რას იტყვი, ძლიერ ორიგინალური იქნება.

— მერე რა უთხრათ?

— შენ ლექსი წაიკითხე, მე იქვე გავაკრიტიკებ, ან ორივემ ლექსები წავიკითხოთ.

— ჭკუაში მომდის. ვნახოთ მაინც რა გამოვა.

პოეტმა და კრიტიკოსმა გადასწყვიტეს ლიტერატურულ ღილა-საღამოების მართვა.

დარაჯი.

საფქვილეს*)

(მწარე დიდი დამშეულისა).

მინდა რომ მოგიღიღინო
ჩემო თიხისა ქილაო!
უკანასკნელი ნაფერთხი
შენი დღეს მოიზილაო;

—

გამოცხვა მჭადი კოკორა,
მივირთვით კაი მადითა,
შეზავებული მწვანილით
და ტყემლის შეჭამადითა.

—

გამოძღა მთელი ჯალაბი,
ლხენა დიეტყო კერასა

*) საფქვილე—ფქვილის შესანახი თიხის ჭურჭელია გუარიაში.

და აი სწორეთ ასეთ წუთს
კუჭიც არ მიშლის მღერასა:

—

შენი ჭირიმე, საფქვილევ,
ჩემო თიხისა ქილაო!
უკანასკნელი სიმდიდრე
შენი დღეს მოიზილაო...

—

უკანასკნელი!.. ეგ რა ვსთქვი!
ხვალ რა სამსახურს გამიწევ?
მოგმართავ დიდის იმედით:
მოვალ და სარქველს აგიწევ.

—

ავსწევ და ჩამოვიხედავ:
ვნახოთ, სავსე ხარ ფქვილითა!
ლხენით გარს შემოგხვევივართ
მთელი ცოლი და შვილითა.

—

ჩვენ ვხარობთ... შენც გიხარია...
ლხენა ეტყობა კერასა...
ო, რა ტკბილია ოცნება!
ის მაბედვინებს მღერა...

—

ჭირიმე შენი, საფქვილევ,
შენ ჩემო თიხის ქილაო!
უკანასკნელი ნაფერთხი
შენი დღეს მოიზილაო.

—

გამოცარიელპირქვავდი,
ჩაპირშავბნელდი განაო,
ხვალ ან კვლავ უნდა აგავსო,
ან მკერდს დავიცე დანაო...
ვნახოთ, თუ როგორ აიხსნას
ეს ძნელი ამოცანაო!..

ონისიმე.



მოზინყე.

საყოლი.

მრავალნიჭიერი მწერალი ი. გედევანიშვილი „სახალხო ფურცლის“ მე-288 ნომერში ეხება ფრიად საყურადღებო საკითხს ჩვენ მწერალ-მოღვაწეთა მატერიალურ უნუგეშო მდგომარეობისას და სხვათა შორის ბრძანებს:

„თუ ყოველი დაწესებულება ვალად სთვლის უზრუნველ ჰყოს თავისი მოსამსახურე გაჭირვებისაგან, საზოგადოებაც, რომელსაც მწერალი თავის სისხლით და მთელი არსით შექმნილ ნაშრომს სწირავს, ამით ვალდებულია.

ჩვენ გვყავს რამოდენიმე საზოგადო დაწესებულებანი, რომელთაც შეუძლიანთ საერთო ძალით მოუარონ ამ საქმეს“.

მართლაც რომ ჩვენ **გვყავს** ეტნოგრაფიული, სიტყვა-კაზმული, კულტურის მოყვარული, წერა-კითხვის გამავრცელებელი და მრავალი სხვა საზოგადოებანი, ხოლო **გვაქვს** სულ რამოდენიმე საზოგადო მოღვაწე და ნუთუ მოვლა ასე ძნელია?

—

საბავშვო მათემატიკა.

საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ მეოთხე ნომერში (მოზრდილთათვის) ჩვენი დაუღალავი მოღვაწე ივ. როსტომაშვილი განაგრძობს თავის მეცნიერულ წერილებს: **„ბრძოლა ადამიანისა ბუნებასთან“**. ამ ნომერში ის ეხება **გვირაბებს**. სხვათა შორის ასწერს იტალიასა და საფრანგეთს შორის გამოჭრილ **მონ-სენის** გვირაბს.

„გამოიანგარიშეს, რომ მონ-სენის გვირაბი იქნება სიგრძით 11 ვერსი და შეუდგენ საქმეს ორსავე მხრიდან. გვირაბის გამოჭრა და გამოკვეთა პირველად მძიმედ მიდიოდა. გვირაბის გამოკვეთას შეუდგენ 1857 წელს და პირველ ოთხ წელიწადში მარტო 12 ვერსის გაჭრა მოახერხეს. ასეთი კუს ნაბიჯით რომ განეგრძოთ საქმე, მთელი გვირაბის გაჭრას სულ უკანასკნელი 25 წელიწადს მოუნდებოდენ“.

უნდა გავიგოთ: რა ზომისაა ქართველი მეცნიერის აზრით ევროპიელი კუს ნაბიჯი. პირველ გამომცნობს ჯილდოთ მიეცემა ივ. როსტომაშვილის მეცნიერულ შრომათა კრებული.

—

მოწინავე.

იოსებ იმედაშვილის მოწინავეებმა („თეატრსა და ცხოვრებაში“) სამართლიანად დაიმსახურა ქარ-

თველი ერის ყურადღება. აი რასა სწერს იგი კოტე ᲛᲔᲡᲮᲘᲡ შესახებ:

„მკვდარია, ვინც უმოკმედოთ ჰკლავს დღეთა თვისთა. კოტე მესხი კი ასეთი არ იყო.

ყოველი კუნთი მისის ხმეულისა, ყ ო ვ ე ლ ი მ ი მ ო ხ ვ რ ა მ ი ს თ ა თ ვ ა ლ თ ა, სიცოცხლის წყარო იყო“.

სამწუხაროთ კოტე მესხს არ ვიცნობდით პირადათ, მაგრამ ჩვენ ყოველთვის განცვიფრებაში მოგყავდით ბ-ნი იოსებ იმედაშვილის თვალთა მიმოხვრას, ყურების გამომეტყველებას, ცხვირის შორს მკვრეტელობას, შუბლის მკვეთრ მკვერ-მეტყველობას და პიტალო ენას. კეშმარიტათ მრავალნიკიერი და ენერგიული მოღვაწე გვაქვს ქართველებს.

—

ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ „ᲪᲣᲓ-ᲫᲐᲦᲚᲐ“ (Чучело).

საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ მე-8 ნომერში (მცირე ულოვანთათვის) ქ-ნი ელ. ანტონოვსკისა სწერს:

„ნინომ (პატარა ბავშვია) ბუჩქი გადასწია და დაინახა ტომარაში რაღაც იძვრის, ბრუნავს, წკმუტუნებს.

— იქ ება ბავშვია?—ეკითხება ვანო,— ან კურდღელი?

— ძაღლია, გაგაწყვეტინა ნინომ. გახსენი.

ძლივს გახსნეს თოკი.

მუცელზე ჩოჩვით გამოცოცდა ჩ ა ლ ი თ ს ა ვ ს ე პატარა თეთრი აბურძგნილი ლეკვი, მეტად სასაცილო, მოკლე ფეხებიანი“.

კეშმარიტათ, რომ სასაცილოა **ᲩᲐᲚᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ** ლეკვის მოძრაობა, არა თუ წკმუტუნი. ჩვენ ისე გაგვანებივრა ცხოვრებამ, რომ „ანამედროვე ხელოვნებისა და ტეხნიკისაგან აღარაფერი არ გაგვაკვირდება.

—კი.

ᲝᲰᲐᲜᲔᲡᲐᲡ ᲩᲘᲤᲚᲘᲡ

(ᲒᲣᲜᲓᲘᲡ Გ. ᲒᲐᲜᲔᲚᲘ)

მე როგორცა ვხედავ ეს ვაინა აღარა თავდება. რა გახდა კაცო, ამისთანა გაუთავებელი მიყვირს უფლის მადლმა! . . . . . .

. . . . . .

, ... არა ძმაო, ჩხუბსაც თავისი ანგარიში უნდა. სად ევროპეიწყაი ხალხი და სად ჩხუბი! ცილინდ-გალუსტიკიანი კაცი და ჩხუბი!!. აფსუსი არ არის ჩვენი კრივები! აი ლაზათიანი დაზელა და მასაკი მა'შინ იყო. ურაო რომ დაიძახებდენ სულ ერთ საათში გათავდებოდა ანგარიში. ან ერთი სტორონა მიგებდა, ან მეორე. ამათ გაბეს ფეიქრის ქსელივით და რომ აღარ ათავებენ! აიღე რაღა და მიდი რეშიტელნათ. ან ჰო, ან არა. დაადგრე ფათრეთში, რომ თვალებში ელეკტრიჩესტვა დაუნთო. დამდგარან მამაცხონებულიშვილები და ტრაბახობენ: კიდევ ერთი სანტრიმენტრი წინ წავიწიეთო. ვაი ჩემი სიყრმე მოკვდეს, თუ ერთი სანტრიმენტრი კი არა ვისაც დავარტყა სულ ერთი ვერსი არ ვარბენინო. აფსუს სად არის საწყალი ძია გიგო! აი, ჩხუბი და კრივები იმან იცოდა. განა თათარს ამდენს ალაპარაკებდა?! განა რა გახდა ეს დარდანელი! დიდი, დიდი სულ ორ-სამ საათში გაარღვევდა, ისეთი ვიეკაცი იყო ის ცხონებული. ეხ, მახლას! არა, კაცო ეს იტალიანწკი გოსუდარსტვა დროზე მაინც გამოსულიყო. იძახიან ვაჭრები დასახრჩობი ხარ თო, შაქარი გაძვირეთო. ქრისტიანო, ამოტოლა გასუდარსტვა მთელი წელიწადი ევაპრა ავსტრიის ხელმწიფეს და უნდოდა რაც შაიძლება მეტი აეწაბნა. ასწია იმ კაცმა და საითაც ხეირი ნახა იქით გადავიდა, თუ კი ცელნი გასუდარსტვა თავის მოგებას ეძებს, რა დიდი საქმეა რომ ვაჭარმა გირვანქა შაქარზე ხუთი-ექვსი შაური მაიგოს! მე რომ ერთი ორი შაური მეტი ავიღო ის უფრო მადლი არ არის! გასუდარსტვას რათ უნდა მოგება ისეც ბევრი ფულები აქვს. ამ ჩვენ გაზეთის მ%ღანელებს სულ ვაჭრები აკერიათ პირზე რაღა! მთელი გაზეთები ვაჭრების გინებითაა სავსე. ამისთანა აღებულ ფულს გემო აღარა აქვს უფლის მადლმა! ორ შაურს საქონელში ვიგებ და სამი თუმნისასა მლანძღავენ. ადამიანო, ძვირათ ვყიდულობ, ძვირათ ვყიდი, მაშ რა ვქნა! აი ვაინა

გათავდეს, საქონელი გაიაფდეს და პირძაღლი ვიყო თუ მეც იაფათ არ გავყიდო, მაგრამ ეს ვაინაც რომ აღარა თავდება! ენახოთ ეს იტალიანწკი გასუდარსტვა რა ვაეკაცობას გამოიჩენს. ალბათ იზამს რასმეს. რა ვიცი ერთი წელიწადია პროგატაველენია აქვს და ირთვება ოქროყანელი პატარძალივით და ნეუქელი უნარს ვერ გამოიჩენს! პამეტნიკებს ძალიანს სთლიან და ნეუქელი ქვის დამმტვრევი ხალხი კაცებს ვერ დაამტვრევენ! ენახოთ რა იქნება!

გოგია.



ბედის წერა.

ერთხელ გლეხმა გზაში ნახა
მკვდარი კაცის თავის ქალა.
ფეხი წაკრა, დამხობილი
წალმა გადმოატრიალა.
და შენიშნა: შუბლზე ჰქონდა
მას წარწერა ოთხი ბწკარი
შინაარსით უცხო რამე,
საკვირველი, საოცარი.
—„ვაი, უწინ რა ვიყავი,
ვაი, აწ რა ვიქნებიო..
ვაი რასა მოვესწარი,
ვაი, რას მოვესწრებიო“.
გაუკვირდა გლეხს. ამგვარი
ჯერ შემთხვევა არ ენახა
და შემდეგში რა მოხდება
მის გაგება განიზრახა.
წამოიღო თავის ქალა
და შინისკენ გამობრუნდა
შეინახა იგი ყუთში
და თავის გზას დაუბრუნდა.
დააფიქრა იგი მწარედ
რას ნიშნავდა ეს წარწერა;
ვარესს რაღას მოუმზადებს
გახრეკილ თავს ბედის წერა?!
განა იგი აღარ კმარა
რომ იქ ეგდო მინდორ-ველათ
უსამარო-უპატრონო,
ყვავ ყორანთა საკორტნელათ?

—

ამ დროს სახლში გლეხის ცოლმა
ყუთს ახადა ფრთხილიანად
და შეკავალა რა ინილა
საარაკო სანახავი.
—„გენაცვალეთ რასა ხედავს
ამას ჩემი თვალებიო,
მე რომ ქმარი მღალატობდა
დიდი ხნიდან ვამჩნევდიო.
მაგრამ სატრფო მოკვდომია
დარდი ვერ დაუმალავსო
და მის ქალას სამახსოვროთ
საგანგებოთ ინახავსო“.
ეგ კი ვეღარ მოითმინა
ქალა დასწვა, დაანელა
და ფერფლი კი მონახვეტი
ქმარს შემოუნახა ყველა.

—

რო დაბრუნდა გლეხი სახლში
გრძელ შარა გზა მორებული,
კართან ცოლი შეეფეთა
ძალზე გაკაპასებული.
და როცა სცნა ყველაფერი
გლეხმა, მწარეთ გაეცინა,
სთქვა; „ეგიტომ მოვიტანე
განა მე ეს ძვალი შინა,
რომ ჩემს სახლში მომხდარიყო
ბედის წერა გამხმარ ქალის,
და მეც მსხვერპლი გავმხდარიყავ
მიზეზიან მტარვალ ქალის?
ვაი ამა სიბერის დროს
რაგვარ ცოდვას წავეკედე.
მკვდარიც უნდა მოელოდე
ხიფათს ქალის გადამკიდე.
და ვინ იცის, თუ რა გვარი
აწ სიკვდილით მოკვდებიო
ვაი, რასა მოვესწარი,
ვაი, რას მოვესწრებიო„.

ჭაბუკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანც-იოსები. - მეგობარო, მოსჩანს რამე?
ვილჰელმ II. – მგონი იმ სატურნზე კი უნდა ცხოვრობდეს ვინმე. ხვალვე ომს გამოუცხადებ.

„დესეტნიკის“ დღიური

დამლევი მარტი.

ასე იცის ცხოვრებამ, აბა! 1906-ში მე კაი ბიეს შეძახოდენ აფხანაკები; თფილისში რომ გახლდი კნიაზ ამილახვართან ლაქიათ, მეც ქე მივარტყი ზაბასტოვკა იმ ჩემ ხაზეინეს. მაგრამ მოგახსენოთ, თქვენ ხარ ჩემი ბატონი, მაშინდელი ჭკვა სიგიჟეთ მიმაჩნია და აბა სულ გიჟთ ხომ არ უნდა ვიარო?.. დღეს ავდეკი და გაშიშტრალენებული თხოვნა მივართვი ბატონ პოლის მინისტერს ეგება გოროდოვობა მიბოძოს...

6 აპრილი.

დღეს მიმიღეს სამსახურში, და დღეს შემაკეს ჩემი შუბლი ლავაშისხელა აპრილებულ აბეკეკვიალებულ კაკარდით. დღეს პირველათ გამგზავნეს სადარაჯოთ ზემო საფიჩხიისაკენ. კუპრივით ღამეა, ცა დედაბერივით შავებში ჩამსხდარა, ბნელ-ქუჩებში ფარნის ბოძები საფრთხობელასავით დაყუდებულან და ალაგ ალაგ, ფუ, ფუ, ფუ, რა მყრალი ძორის სუნი სდის, ადამიანს სუნთქვა უძნელდება; იქით ერთ ალაგს ტბაში, ბაყაყებს კონცერტი გაუმართავს, „ყი-ყი-ყი-ყუა, ყი-ყი-ყი-ყუა“ —იძახიან და ერთ უშველებელ ამბავში არიან. მე ერთ ალაგს რომ ვეღარ გავძელი ქუჩას დაუყევი. ბიეოს რაღაცა რბილ საგანს წავებორკე და კინაღამ თხლეშა გავდინე.... ეს რა ამბავია?—გავიფიქრე უცბათ და „სპიჩკა“ ავანთე, უუ დაგლახვროს ღმერთმა, მკვდარი ძაღლი... ეს უსათუოდ ამ ღამეში შამომაპარეს, რომ დაღამდა მაშინ გადმოუთრევია ვიღაცას, მარა, ერთი შემეხედა იმისთვის, იმას შევადუროკებდი რიგიან პირიანად... მაგრამ რა გინდა რა, ეს დასაქცევარი ქუთაისი მართლაც უპატრონოა; ქალაქის ღლისნები და სანიტარები მარტო ბულვარს უვლიან გარეშემო.

8 აპრილი.

ამ ხნის განმავლობაში, ჩემთვის არაფელი შესანიშნავი მომხდარა. დღეს ნაშვადღეეს კი რავარც იყო, ორი საათის ძილი მომანიეს, მარა ხელათ წამომაბაუზურეს; არიქა „პაკარია, პაკარიო“, წამოვარდი, ნამძინარები სით გავბოდი არ გამეგებოდა... აქეთ, აქეთ, ვიღაცა ყვირის მოსახვერში, და მეც იქით დავეშვი... ოო, დიდი ცეცხლია ორ სართულიანი სახლი იწვის, ახაბაკებული ხალხი ბაღლინჯოებივით დაფუნდრუკობენ, ჰა, მოვარდა „პაკარკამანდაც“; მოაწინწილეს ერთი ბოკა წყალი, ფშუკ, ფშუკ, ფშუკ, და წყალი გამოიღია. და რამდი მეორეთ მოიტანდენ ცეცხლ[illegible] შამოეპუწურა. როდესაც მთლათ დ[illegible] ... [illegible]ერფლა, ერთი ბოკა წყალი დასახეს ორ ხის ბოძს და რავარც იყო გადაარჩინეს.

11 აპრილი.

ეს დღე, თქვენ ხარ ჩემი ბატონი, ჩემისთანა ჯიბე გაბრიალებულისათვის სწორედ სადღესასწაულოა; საღამო ხანს მოგეხსენებათ, პოსტზე გახლავარ... „ეს საღამო პოეტურათ რომ აგიწეროთ, ასე დევიწყებ“. ეა, თეთრი მეტეკეთონ გაივსო, ქუჩებში „ფაიტონები“, „ქებაძის“ სისტემაზე დატრიხინობენ. ბაყაყები ჩვეულებრივ. კონცერტს მართვენ, საღამოს ნიავი ხანდისხან, ოდნავ გაყნოსიებთ სხვა და სხვა ძორისა და შმორის სიმყრალეს.

აგერა ერთი ვიღაცა ცხენს მოაგივლებს, და დაძახება ვერ მოვასტარი კინაღამ „ტროტუარებზე“ გადამთელა.—ეი, შენ რა ამბავია, ამის თქმა და ჩემი ტლაპოში გადავარდნა ერთი იყო; ვაი დედიჩემის ღმერთს, შენი თავი ჩამაგდებია ხელში, და ცხრა კეც ტყავს აგაძრობ ზურგზე, შე დურაქო, შენა... მაგრამ რას იზამ რა, ფეხდაფეხ ხომ ვერ მიეწევი გაქენებულ ცხენს. მე გავიწმინდე, „გეგეჩისტე“, და ქუჩას დაუყევი, მეფარნემ ერთი ფარანი აანთო, მეორეს ზედაც არ მიუხედა, მესამე ისე აანთო ხუთ მინუთში ფშუკ და გათავდა. მე შორიდან თვალს ვადევნებ; ის შევიდა მედუქნესთან და ნამთი მიყიდა, ვეპლეჩ! ამას პასპატინ! გამოაბუზურე დუქნიდან, ერთი და ორი, ერთი და ორი, ლეკურის ტარი ბარკლებზე. აი შე დურაქო შენა, შენ ნამთს ჰყიდი და ქუჩებს გაუნათებელს ტოვებ, მე აქანა ამაღამ კანავოში კბილები უნდა ჩავილეწო, თუ? მალე უჩასტკაში, მალე, თორემ.

— ბატონო, შენგეწალეალე, უკაცრავათ! დაიმანჭა, დაიკრეჭა ქვიტირელ მებოლოკესავით.

— ხმასა ნუ იღებ, წინაალმდეგი ხარ გესმის! და ორიც კიდე მივაყოლე.

— შენი ჭირიმე, ბატონო იქ ნუ წამიყვან და...რგვალი მანათიანი ხელში ჩამიდვა. იმე, იმე, ამ გაცეცხლებულ გულზე მალამო არ მომეცხო ეს პირველი საგერში, პირველი სიფთა. ჩქარა ფარნები აანთე, და აწი აღარ გაბედო თორემ.. და იქვე მედუქნეს შეუვარდი, როგორ შენ ქურდის ხელის დამცველი ხარ? ჩქარა დუქანი დაკეტე და უჩასტკაში წამო მალე.

იმან ვაპრული ფანდებით დამიწყო „ლათაია“,

მაგრამ ცხელი დღე რომ მივაყენე იმანაც ქე მიჯიბა ერთი მანათი. ამან მთლათ გამამრთელა, სულ დამავიწყდა ცხენის დატაკებაც და ტალახში გასვრაც. თუ აწიც ასე წავიდა საქმე, არა უშავს კაი დოხოდში ვარ.

13 აპრილი.

ოხ, რა ღვთის პირიდან შეჩვენებული და ეშმაკის პირიდან წავარდნილი არიან ეს მოწაფეები:

მასწავლებელს, მოსწავლეს,
ჩინოსანს' თუ უჩინოს,
ადათათ აქვთ ყოველ დღე,
მუშტის ძალა უჩვენოს...
არ არჩევენ ბრუნდს, და მართალს,
სიტყვის თქმას არ გაცლიან;
ცხვირ-პირში, რომ გფეთხამენ,
თმა წვერისგან გაგცლიან".

ბულვარდის გვერდზე ისე ვერ დავდგები, რომ ორი და სამი არ დავიჭირო. მართალი რომ მოგახსენოთ, მეც ქე მეშინია მათი; ვინიცობაა ასტავკა, რომ შევიტანო და უიარაღოთ დევიწყო სიარული, მეც ქე მიმბუჟნიან სადმე. დღეს საღამოს ბულვარდის გვერდით წესიერებას ვადევნებ თვალს; თხლაშ რაღაცამ გაადინა ჩემს გვერდით; ბიჭოს, ეს რა ამბავია! მოსწავლემ პატივცემულ მასწავლებელს თხლიშა და ღამის მოჩვენებასავით გაჰქრა... მოდი და სდიე იმას...

(დასასრული შემდეგ)

რეკეკე როკოკო.

შემთხვევაა ყველაფერი:

(სადღეისო კუპლეტები)

უმიზეზოდ ქარიც არ ჰქრის,
არც ბზუილობს კოლო-მწერი:
რაც ხდება და რაც არ ხდება
შემთხვევაა ყველაფერი.
აი თქვენ ცოლს, მაგალითად,
წაუცხია ბლომად ფერი—
(მასაც თავის მიზეზი აქვს)
შემთხვევაა ყველაფერი!
ხშირად ნახავთ—პონაზონთან
დასეირნობს კოხტა ბერი:
(ბერი უქმად ხო არ ივლის?)
შემთხვევაა ყველაფერი.
ვთქვათ ქრთამების მორევიდან
წმინდათ, მშრალათ გამოძვერი
აქაც რამე მიზეზია,
შემთხვევაა ყველაფერი.
დღემდის ჩვენი ეშინოდათ,
დღეს კი ჩვენზე მოდგა ჯერი—
რა ვუყოთ, რომ ესეც მოჴდა:
შემთხვევაა ყველაფერი...
ირგვლივ მტერი გვახვევია—
თავში ურო, ცხვირში კვერი:
არც თუ ამან გაგაკვიროს.
შემთხვევაა ყველაფერი!..

სევდიანი.

სამხედრო მიმოხილველი.

ქვეყნის, თუ ჩემი ჭირვ-ვარამით დატვირთული დაღონებული მივდიოდი. წარბი ჩემი დაღუშული იყო და კრიჭა შეკრული. კმაყოფილების ნატამალსაც კი ვერ აღმოაჩენდა კაცი ჩემი სახის ნაოჭებში. გულში სევდის კოცონი*) პრიალობდა.

— ოო, გამარჯობა! კაცო, შენა ხარ? მომესმა უცებ ვილაცის ხმა.

მოვიხედე, ჩემი ძველი მეგობარი ალმასხან კირკიტაძე. გალამაზებულა, გამშვენიერებულა, ტანზე კარგი აცვია და ფეხზე: ხელში ტროსტი, ულვაშები ვილჰელმის, წვერები ასირიული—თოხის სოლივით.

— საიდან სადაო, წმინდა საბაო! მეკითხება და თან გიჟივით მკოცნის, სიტყვის თქმას არ მანებებს. მატრიალებს აქეთ-იქით, ხარხარებს.

— სიცხე ხომ არა გაქვს კაცო, დაწყნარდი, ვეუბნები ღიმილით.

ალტყინების წამებმა გაუარა, ცოტა დამჯდარათ დამიწყო მუსაიფი. გამომკითხა ამ მთის, იმ მთის ამბები.

— შენ ჩემი გაჭირვება უნდა იკითხო, რა დღეში ვარ, რა მჭირს!

*) ეს იმ კოცონში არ აურიოთ რომბაქიძემ რომ დაანთო. ავტორი.

— რა ამბავია, რა მოგსვლია?

— როგორ თუ რა მომსვლია? გაზეთის სამხედრო მიმოხილველი, ვარ გესმის?

— მერე რა არის აქ ისეთი? პირ იქით, დღეს ეს მოვალეობა ფრიად საყურადღებო და საპატიოა, მასთან საპასუხსაგებიც.

— ისე აშენდა მისი კარავი მე კი ამის რამე ვიცოდე! კაცო, შენ ჩემი გულითადი მეგობარი ხარ და გიმხელ, თვარა სხვაგან როგორ ვიტყვი ამას: რა ვქნა არ ვიცი, პირდაპირ დავიტანჯე კაცი, სირცხვილით ვიწვი. დღეს ვეუბნები მკითხველებს. უთუოდ ასე მოხდება და ასე თქო, ვარწმუნებ, რომ გერმანელები სწორეთ ჩემი დანაწერის თანახმათ იმოქმედებენ, მარა უცებ თავ-ზარ დამცემი დეპეშა მოდის: სულ სხვა გზით წასულან, სხვა ადგილას აწვებიან. ჰო და რას ეუბნები ახლა მკითხველს, რით გინდა თავი იმართლო?

-- როგორ თუ რით, შე დალოცვილო,—დასწერე, რომ ჩვენი წერილის შინაარსის გაგების შემდეგ, ჰინდენბურგი დარწმუნებულა, რომ საიდუმლო განზრახვა გაუგეს და ტაქტიკა უცებ შეუცვლია თქო.

— ერთი შენც ამბობ რაღა! ჩემი გამასხარავება მოგინდომებია და ესაა! მაგი რომ დავწერო მერე ქუჩაში გავლა არ გინდა? ჰინდენრბუგამდის როდის მიაღწევს ჩემი მიმოხილვა, კაცო, რას ამბობ შენ?

— შენ, ძმაო, არაფერი არ გცოდნია! რათ არ იცი, რომ შენი და შენისთანების სამხედრო აზრი გერმანიის მთავარ შტაბს სტამბიდან გამოსვლისათანავე აქვს შეტყობილი?

— როგორ, რაფერ?

— კაცო, არ იცი, რომ გერმანიის ჯაშუშებით ავსილია მთელი ქვეყანა? ჩიტი რო ჩიტია, უბრალო ბეღურა, ისიც კი გერმანიის მთავარ შტაბის სამსახურში ითვლება და ყოველ წუთს ცნობებს აწვდის ჩვენს მტერს. ან კიდევ უმავთულო ტელეგრაფები: დაამტკიცე ახლა შენ რომ სადმე შენს ახლო უმავთულო ტელეგრაფი არ არის გაბმული. ხომ ვერ დაინახავ და როგორ უნდა გაიგო.

ალმასხანი ერთობ ჩააფიქრა ამ ამბავმა, ბოლოს სიტყვა შემაწყვეტია; მოხსნა თავი საბუთებს:

— არა ძმავ, შენ როგორც გატყობ ვერ მიხვდი უბედურობისაგან; რო მანახა ის გერმანელები, პირდაპირ შევჭამდი ღმერთს გეფიცები! როგორ იქცევიან, როგორ მოქმედებენ! ხან ალთას მიდიან, ხან ბალთას. ომი რო დაიწყო მას აქეთ ვწერ მათ შესახებ და დღემდის ვერ გამიგია მაგათი გეგმა და ვერ მითქვამს გადაჭრით, თუ როგორ მოიქცევიან ხვალ. მკითხველებს კი ვარწმუნებ – სწორეთ ჩემ მიერ ნაჩვენებ გზით ივლიან თქვა. მეტი ორჭოფული მდგომარეობა იქნება?

აქ კირკიტაძემ მაგრათ ამოიხვნეშა და უწინდელის სიცხარით განაგრძო:

— ომი რო დაიწყო, დიდის რიხით გავიძახოდი გაზეთის ფურცლებზე, რომ მსოფლიო შეტაკების ბედი უთუოდ პარიზის კედლებთან გადაწყდება თქო. ვამტკიცე, ვამტკიცე ეს აზრი და... უცებ, დაექცა გერმანელებს ოჯახი, ჩვენებს დაეტაკენ. ერთხანს კიდევ ვიძახე ეს უბრალო თავდაცვაა და მეტი არაფერი თქო, მარა თან და თან ირკვეოდა, რომ საქმე სხვანაირათ იყო და მეც სიტყვა თავდაცვის მაგიერ ჩავამატე „აქტიური“ და გამოვიდა „აქტიური თავდაცვა“. კიდევ ცოტა ხანი და ამის მაგიერ სიტყვა შემოტევა ვიხმარე, თუმც ხანდისხან სიტყის მასალათ ახლაც ვხმარობ ხოლმე, რომ გერმანელ-ავსტრიელებისთვის აღმოსავლეთ ასპარეზზე მოქმედება „ბოლოს და ბოლოს მაინც თავდაცვის საკითხია“. ამასთანავე ბედმაც ხელი შემიწყო: უცებ საზოგადოებაში დაიწყეს მტკიცება, რომ თავდაცვისა და თავდასხმის შორის სრულებით არ არის გარჩევა და ამ ცნებათა განსაზღერა წყლის ნაყვაა.

ეს კიდევ ცოტაა, ახლა უარესათ თავსამტვრევი კითხვები უნდა აშუქო. სიდან შემოუტევენ ნემცები მთავარი ძალებით? სად არის დემონსტრაცია? რომელ ბრძოლას რა მოყვება და სხვა ასეთები. პირველათ ავიღე და ვამტკიცე, რომ გერმანელები ვარშავას ჯიქურ ებღლვნებოდენ და ისე შეეცდებოდენ მის აღებას. ვიძახდი, სხვა გზა ამისთვის არ არის თქვა, გავიხედე და იმ წყეულებმა ავგუსტოვოს ხაზიდან შემოუტიეს. მეც ხელათ ფრონტი ვიცვალე და ეხლა ეს ასპარეზი დავსახე უმთავრესათ: ჩემებურის გატაცებით ვამტკიცებდი, რომ თუმც გერმანელები პრასნიშთან დამარცხდენ, მარა მაინც კიდევ აქ მოაწვებიან და აქედან მოიტანენ იერიშს ვარშავაზე თქო. ავსტრიის ფრონტს კი ამ ხრივ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ, იქ თუ შემოტევაზე ვინმე იფიქრებდა როგორ მეგონა. მარა ერთ სრულებით არა მშვენიერ დღეს. იმ წყეულმა ჰინდენბურგმა უბედურება დაუტრიალა. კიდევ კარგი, რომ ამ საშინელმა ომიანობამ მკითხველებს მეხსიერება დაუკარგა და როგორც ვატყობ არავის არ ახსოვს ის, რაც გუშინ მითქვამს... თო-

რემ შენი მტერია კეტით გამომაგდონ რედაქციიდან... აბა, ასეთ დღეში ვარ და შენ კიდევ რალაცებს მიედებ-მოედები, ასე უნდა მეგობარი?

ერთის მხრით რომ ჩემი მეგობრის მდგომარეობა ჭეშმარიტათ ტრაღიკულათ მეჩვენა, მეორე მხრით მისი საყვედურიც კანონიერად ვცანი და ახლა სხვაგვარათ დავუწყე დარიგება, თანაც მეტი გულწრფელობა და თანაგრძნობის ელფერი მივეცი ჩემს ნათქვამს:

— იცი რას გეტყვი, ჩემო მეგობარო,— ტკბილათ ვუთხარი,—შენი მდგომარეობა მართლაც არ არის სახარბიელო, მარა გულს ნუ გაიტეხ. იმედი გქონდეს. დააკვირდი სხვა მიმომხილველთა აზრებს და შენც ისე მოიქეცი. ნურასოდეს კატეგორიულათ ნურც ერთ აზრს ნუ დაიცავ მაგალითად ასე: იმ შემთხვევაში. . . . .

. . . . . თუ გერმანელები დამარცხდენ და ჩვენი ჯარების უკან შემოვლა ვერ შეაჩერეს, მაშინ ვაი დამარცხებულთ. ნუ გაგვავიწყდება, რომ წინ მიმავალ კაცს დიდი სიფრთხილე მართებს: მათს დიდზე არ უნდა დაშორდეს, ტყეში არ უნდა დაიბნეს, საგზალი საკმაო უნდა ქონდეს და სხვა. თუ ყველაფერი ეს აწონილ-დაწონილი აქვთ გერმანელებს, მაშინ კიდევ ჰო, მარა თუ გავიწყებიათ, მაშინ კი შაბაშ მათი საქმე. დიახ, სწერე ამ ნაირათ და მაშინ გარწმუნებ, რომ შენი სინიდისის ქენჯნასაც ბოლო მოეღება. როგორც უნდა ისე გაიგოს მკითხველმა—შენ კი შენი შეასრულე—ერთად უთხარი, ავიცა და კარგიც, დანარჩენი მან იცოდეეს. ხაზ გასმით გირჩევ—ყოველთვის დასწერე, რომ გადაჭარბებულ უიმედობას ნუ მიეცემით·თქო, ყველა ჭკვიანი მიმომხილველი ასე სწერს და შენც ასე მოიქეცი, გარწმუნებ, რომ არას წააგებ...

— ეეხ, – ამოიკვნესა ალმასხანმა და გამოსამშვიდობებლათ გამომიწოდა ხელი,—ღმერთო მაპატიე, რაც მე ამ ომიანობის დროს სისულელე ვროშე... შენ კი, მეგობარო, სანუგეშო დიდი ვერა მითხარი, თუმცა ეს უკანასკნელი რჩევა ჭკუაში მომდის. ნახვამდის.

კირკიტაძის შეხვედრამ სრულებით ვერ შესცვალა ჩემი სულიერი განწყობილება და მე ისევ დაღონებული გავუდექი გზას.

ხუმარიანი.

P. S. მთავარო ეშმაკო! „ხუმარიანის“ ფსევდონიმით მე შენი მათრახის მკითხველები ძველათ არ მიცნობედენ. ვიხმარდი ძველ ფსევდონიმს, მარა არ ღირს, რადგან მე ვინცა ვარ შენც იცი და მეც და სხვებისთვის კი რა საჭიროა. იმედია ნებას მომცემ, რომ დღეიდან ამ ფორმით ვიარო შენს სამეფოში.

შენი **ხუმარიანი.**

მოჩვენება და სინამდვილე

(მაგარ სასმელების აკრძალვის გამო)

სასმელის აკრძალვით,
ჭირ-გამოწვეული,
დიდი, თუ პატარა,
(ლოთობას ჩვეული).
სტიროდა, მოსთქვამდა
ცრემლებით ავადა,
რომ ველარ ილოთებს
ძველებურ კვლავადა.
მაგრამ ვინ გასწიროს
ხალხისა იმედი?
მხოლოდღა ცვლილება
მოხდა აქ მცირედი...
პატენტი არ მისცეს...
ან კი რათ სჭირია?
უმისოთ, მალულათ
იმზომათ ხშირია,
„გადაკვრა“, —ქეიფი,
„ჰარალოს“ ძახილი—
დამუნჯდეს ეშმაკიც,
(თუნდ ენა-მახვილი...)
ამგვარათ, მოეწყო
ეგ საქმე საძნელო,
უბრალო გლეხ-კაცი,
თუ ყოვლად სამღვდელო—
სულ ყველა ქეიფობს,
დღეს უეჭველათა,
ისევე, როგორაც
ომამდე, ძველათა...

ახლათ-მოსული.

ავეტიკას აზრი წვიმაზე.

კაცო, დიდი და პატარა გაიძახის, თუ რათ მოდის ამდენი წვიმა ქალაქში?

დღე არ გავაო, რომ ვოდოპროვოზ გიგუას კრანივით არ იყოს ეს ოხერი ცა მოშვებულიო.

მიკვირს რაღა ამ ხალხისა; ვაა, რით ვერ მიმ-მხდარა ამ პროსტოი სლუჩის ამბავსა!

ერთხელა შუა ბაზარში ვარ გრიქულა ყასაბთან, ველი ოჩერედს, უცებ ცა მოიღრუბლა...დიდი და პატარა გარბიან, ზოგი დუქანში, ზოგიც სადა. გრიქულას დუქანშიაც რამდენიმე „პოჟოლუსტა“ ყმაწვილები შემოვარდენ.

ისე იყვნენ დასველებულნი, იტყოდით უთუდ მტკვარში უბანავიათ ტანისამოსითაო. დაიწყეს ლაპარაკი:—ცელი დენ ნუჟნო დომა სიდეთო, ა კაკ ტოლკი ვიიდიშ გულიატ ნა ულიცუ, სეიჩას კაკ გერმანსკი პული დოჟდიკ ტაკ იდოთო. ეტოთ გოდო ვსო ნესჩასტიე პრინოსო ი ლეტო პლოხიო პრიშოლო.

ამ ლაპარაკსა ყური კარგად დავუგდე, ერთიც მაგრა გამეცინა, მერე ავდექი და უთხარი:—კაცო რატომ ვერ მიმხთარხართ მეთქი ამასა! იძახით თუ ნასწავლები ვართ, სულ პროსტოი სლუჩის საქმეა, რაღა. კაცო, ეტა ვსიაკი ზნაიტ შტო, ი ნა ტურეცკი გრანიც ინა გერმანსკი გრანიცა ოდნიმ სლოვომ ვეზდე ვაინაა რაღა. პული იზ რუჟიო იზ პუშკი ვსო ნა ვოზდუხ ბროსაეტ. ტეპერჩი ოტ ტურეცკი ოტ გერმანსკი გრანიცა ვსო ნებო ტიფილის პრიშოლ.

ახლა კიდევ ეს ოხერი რაღაც ოროპლანები გამოიგონეს, იმან ხო უარესათ გადარია ცა. იძახიან თუ ღრუბლებზე მღლა ადისო, ვაა... შუტკა ხომ არ არის ამოდენა რამეები დაიმაგროს ცამა? ვაჰ, დედა-მიწა ხო არ არის და?!

ცაც სულ ძირსა და ძირს იწევს და სადაც ვაინა არ არის იქითკენ მიდის, ქალაქშიაც ვაინა არ არის და სულ აქ ჩამოვიდა.

ტეპერჩი სკაჟი პოჟოლუსტა ა დოჟდიკ კუდა პოიდით? ნებო ტოჟე ვზიალ და ჩტო დოჟდიკ ესტ ვსო ტიფლის ბროსაიტ.

გაგიგონიათ, ერთი სიტყვაც ვერ მითხრეს იმ ნასწავლებმა. რაკი მე ჩვენებურათ არ მაცვია და პოჟოლუსტობას არ ვიძახი, იმიტომ არავინ ყურადღებას არ მაქცევს.

ლევანა.

ვაცხადებთ ზოგიერთების საყურადღებოთ, რომ „მათრახის“ მე-9 ნომერში მოთავსებული გამოცანა (გურიისათვის) „ბზიკაძის“ ფსევდონიმით არ ეკუთვნის პ.ბ. გრიშა და ვასო ჭელიძეებს ნურავინ დასდებს მათ ბრალს.

„მათრახის“ რედაქცია

ფოსტა

უიშვილს. ჩვენ თქვენი ლექსის უკანასკნელი ტაეპი მოგვწონს. სახელდობრ:

„მეტი რომ ვთქვა, აღარ ვარგა,
მაგენს ველარ გადურჩები
აწ ამის მეტს აფერს ვიტყვი
მიჯობს ეხლა გავჩუმდები“.

აქ ჩვენი ინტერესები შეთანხმდენ.

—

მოხევეს. თქვენი ლექსი: „მოხევეთა გლოვა ალ. ყაზბეგისადმი“ კილოთი ჩვენ ჟურნალს არ შეეფერება, ხოლო შინაარსით დიდებულ მოხევეს.

—

დათიკო მელქაძეს. მიუხედავათ თქვენი სურვილისა არ შეგვიძლია სრულად დავბეჭდოთ თქვენი ლექსი. „პერსიიდან“. მოვიყვანთ მხოლოდ ორიოდ ჰწკარს:

„ახლა ზაპახის ცოლებო
თქვენ გიძღვნით დიდსა სალამსა...
ღმერთი არც თქვენზე გაწყრება
და არც აიღებს კალამსა...

ჩვენი მეგობრული რჩევაა: მიბაძეთ ღმერთს.

—

მელიკოს შვილს.

„ჯიხაის შამოვეჩვიე
ეშმაკის მოციქულია,
ფშვირიც კარგი მაქ, საამო,
სულ ვერცხლით მოჭედილია“.

ჩვენი რედაქცია იზიარებს ჯიხაიშის მწუხარებას, ვინაიდან კარგათ გვესმის რას ნიშნავს თქვენი შემოჩვევა.

—

ოცნებაძეს. თქვენ იწერებით:

„ჩემმა მუზამ სტაცა კალამს ხელი, იერიში მიიტანა ქაღალდზე და გენერალური ბრძოლის შემდეგ დაიწერა ლექსი: „ფრთოსანიო“.

ეშმაკმა თავის მხრივ იერიში მიიტანა თქვენს „ფრთოსან“ ლექსზე. გაიმართა სასტიკი ბრძოლა. ფრთოსანმა დაიხია და გამაგრდა წინასწარ მომზადებულ პოზიციაზე,—სარედაქციო გოდორში. მდგომარეობა უნუგეშოა.



ნებადართულია შინაგ. სამინ.
არს. სამკ. საბჭ. მიერ № 9796

სნეულთ სპერმინი

და სუსტებს

ი. ნ. ივანოვის ლაბორატორია მოსკოვში.

თუ თქვენ მოქანცული ხართ ფიზიკური ან გონებრივი შრომით, ნერვები აშლილი გაქვთ, ესა თუ ის სნეულება გეჭირთ — **გულს ნუ გიტეხთ!** სპერმინი მოგანიკეთებთ სასურველ დახმარებას. არ შეიძლება მას ვუწოდოთ წამალი სხეულის რომელიმე ადგილობრივ ავადმყოფობისა, არა! ეს არის სრულიად უვნებელი რამ — ეს არის სიცოცხლის ენერგია, ეს არის ძალ-ღონის წარმომშობი. იგი ჰმოქმედობს სისხლის შემადგენელობაზე, გადაახალისებს მას და სწმენდავს მას დაძველებულ მავნებელ ნაწილებიდან. როდესაც სნეულებისა თუ მოხუცებულობისაგან დაავადებულ ადგილას მოჰხედება სპერმინი, რომელიც ჩვენს ჯანსაღობას სდარაჯობს, მაშინვე იწყებს ნაყოფიერ მოქმედებას დაზიანებულ უჯრედების გადასახალისებლად, აწვდის მას ახალს სისხლს, ახალს ძალას და სნეულების წინააღმდეგ საბრძოლველად ეხმარებიან ჰმატებს. ექიმებმა დაადასტურეს, რომ საოცარი ძალების გამონაკური უებარი წამალია: სიბერით გამოწვეულ ულონობისა, სისხლ ნაკლებობისა (ანემია), მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ნერვების აშლისა, დაქანცულობისა და სქესობრივ უილაჯობისა, დამპალ ციებისა და ჩუკუნების შედეგისა, სიგამხდრისა, სიდამბლისა, სქესობრივი სისუსტისა, წყალმანკისა, გულის სნეულებისა, შაქრის ავათმყოფობისა, ქარებისა, ნიკრისის ქარებისა. **ექიმებისა და ავადმყოფთა აზრი სპერმინის თაობაზე უფასოთ ეგზავნებათ.**

მოითხოვეთ ყველა აფთიაქებსა და საფთიაქო მაღაზიებში. ფასი — 1 ფლაკონი — 2 მან. 40 კაპ. ფასდადებით ვგზავნით ღირებულების 1/3 მიღებისას, შეიძლება ფოსტის მარკებითაც. თავარი საწყობი პროვიზ. ანელდიანის აფთიაქში, თფილისი, კოლეგიის ბრასპექტი № 41, დასაკვეთად მიმართეთ მთელი კავკასიისთვის წარმომადგენელს **ი. გ. ახობაძეს**, ტფილისი, კოლეგიის ბრასპ. № 41.

მიღებული გვაქვს სამადლობელი წერილები აურარელ პირთაგან, რომლებიც სრულიად გამოაჯანმრთელა ჩვენმა სპერმინმა, წერილების ნახვა შეიძლება გ. ახობაძესთან.

გოლოვინის პროსპექტისა და სამხედრო ქუჩის კუთხეში

გაიხსნა ახალი აფთიაქი ვარლამ ახვლედიანისა.

ფუფუნა „**ჩვენი გემო**“ **კვასი**

„ჩვენი გემო“-ს ქარხანა გადავიდა ჩერქეზოვის ქუჩაზე № 38.

კვასი მზადდება პირველ ხარისხოვან მასალისაგან და ნადუდი წყალით. სასუფთაეე ქარხანაში საუტხოოთ დაცულია. ამზადებს დიდი ხნის დაკვირვებული და პრაქტიკის მქონე მოხელე. გემო და სუნი შეტად სასიამოვნო აქვს.

ვისაც სურს დალიოს ნამდვილი პური კვასი. მოითხოვოს ყოველგან „**ჩვენი გემო**“ და არ აურიონ ის სხვა ფირმებში. კვასი „**ჩვენი გემო**“ ქიმიურ ლაბორატორიისაგან გასინჯული და მოწონებულია.

გამბიდან პირადად დარეკვენდეთ. დარეკვენდეთ პირადად გამბიდან.



როგორ იბრძვის საქართველო დღეს.

1 მაისიდან ქალაქ თფილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერ-ჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „ეშმაკის მათრახი“, „თემი“, „თეატრი და ცხოვრება“, ქუთათური „ახალი კვალი“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდა-წინ გადაიხადონ. წინაალმდეგ შემთხვევაში გაზეთები არ გაეგზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 199, Сильвеструу Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: ბარონის ქუჩა, № 15.

ნებადართულია სამხ. ცენზორ. სტამბა ამხ. „შრომა“. რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე